ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 სამშაბათი, 30 ოქტომბერი № 1626

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვას სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
აწამდმყოფებს ილებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ე. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ს. ა. ვოინო.—ხირურგიული, ხუთშაბათობით და შაბათობით 1—2 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. **ტელეფონი № 274.** (წლ.)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ექიმი
პ. მ. ელიოზიშვილი
ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლის“-ს №№-ბი. თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

ჟურნალ-გაზეთებიდან

ოსმალეთი. იმ დღეს გერმანიის მეგობრობის ამბავი მინდოდა შემეტყობინებინა თქვენთვის, მაგრამ გაზეთში ადგილი აღარ იყო და ჩემმა განზრახვამ ჩაილურის წყალი დალია. მინდოდა აგრეთვე დიდი ვეზირის ამბავი მომეხსენებინა, მაგრამ ამ საწყალსაც,—დეპეშაში წაიკითხავდით,—თქვენი ჭირი წაუღია და ამიტომ პატივი ვცეთ მის ხსენებას და თავი დავანებოთ. ისევ საფრანგეთსა და ოსმალეთის დავაზე ვილაპარაკოთ.

რაზე მოუვიდათ ეს დავა? გაზეთებში ასეა მოთხრობილი ეს ამბავი: «სტამბოლში ერთი ფრანგი კაპიტალისტი ბანკირი ლორანდო სცხოვრობდა და თავის საქმეებს აკეთებდა. 25 წლის წინად ამ ლორანდოს ოსმალეთის მთავრობისთვის ფული უსესხებია. ლორანდოს რომ ჰკითხოთ, აქნობამდე გროში კაპეიკიც არ მიმიღია ამ ფულში, არც თავნი და არც სარგებელიო. ამას გარდა, ფრანგ კაპიტალისტებს სტამბოლში ზღვის სანაპირო ქუჩაზე დიდი კედელი აუშენებიათ, რასაკვირველია ძლიერ სახეირო პირობებით. ამ კაპიტალისტებს ბევრი მილიონი ხეირი უნახავთ ამ საქმეში, ყოველ ფეხის გადადგმა ადგილს მამა სისხლად აქირავებდნენ, კედელი კი ისე ცუდათ აუშენებიათ, რომ ზღვის ტალღებს სრულიად ვერ უძლებდა და თითქმის სულ დაინგრა. კაპიტალისტებმა მოითხოვეს: პირობის ძალით ოსმალეთმა უნდა შეისყიდოს ეს საწყალსპირო ქუჩაო. უფრო იმიტომ მოითხოვეს, რომ ეშინიათ, ვაი თუ კედელი დაინგრეს და ხელმეორედ ასაშენებელი გაგვიხდესო. ისე გაუჭირეს საქმე, რომ ოსმალეთის მთავრობაც დაჰპირდა, ოღონდ დაწყნარდით და შევისყიდითო.

მაგრამ ოსმალეთმა თავისი დაპირება ვეღარ შეასრულა, პირნათლად ვეღარ გამოვიდა კაპიტალისტებთან. ძლიერ გულითაც უნდოდა ამ სვავების თავიდან მოშორება, მაგრამ რას იზამს, ფული არა აქვს. ოსმალეთი ეხვეწებათ: მადროვეთ, სინამ საიდანმე ფული შემომივიდოდესო. კაპიტალისტებმა: კარგი დაგაცდით, მაგრამ გირაო მოგვეცით რამეო, თორემ თქვენი დაპირება, ცოტა არ იყოს, ყინულზე დაწერილ თამასუქსა ჰგავსო. უნდა იცოდეთ, რომ იქვე, იმ ზღვის ნაპირს ერთი დიდი მოედანია თურმე. კაპიტალისტებმაც სწორედ ამ მოედანს დაადეს ხელი. ან პირობა შეასრულეთ, ან ეგ მოედანი მოგვეცით იმ პირობით, რომ ზედ მაღაზიები და დუქნები ავაშენოთო. იციან, რომ ოსმალეთს ფული არა აქვს, იხრჩობა და ამიტომ უფრო მაგრად უჭერენ თოკსა. ეს მოედანი თურმე მილიონობით მისცემთ შემოსავალს. აქ კი ოსმალეთმაც გაახილა თვალები, ფეხი გაიბოძიკა და უარი ჰკიცათ კაპიტალისტებს: მაგას კი ჩემის ცოცხალის თავით, არ ვიზამო. სულაც არ გვინდა თქვენი დანგრეული კედელიო.

ბანკირ ლორანდოსაც ამნაირ პასუხს აძლევენ თურმე: 25 წლის წინად ცოტაოდენი ფული გისესხებია, თავნი, სარგებელი, სარგებლის სარგებელი ერთმანეთზე შეგიკეცნია და ეხლა ყველას ერთბაშად გვთხოვ და ყელში თოკს გვიჭერო.

რაკი კაპიტალისტები თითონ ვერას გახდნენ, საფრანგეთის ელჩს კონსტანს შეჰჩივლეს. კონსტანმაც თავი გამოიდო კაპიტალისტებისათვის, სულ ცეცხლი წაუკიდა ოსმალეთის მთავრობას, მაგრამ ესეც ბევრს ვერას გახდა. ოსმალეთის მთავრობა უპასუხებდა: ამოდენა ხეირი გაქვთ ჩვენში, ყოველ დღე ამდენ სახეირო საქმეებს გაძლევთ, ეხლა კი ლამის დაგვახრჩოთ. დაგვაცადეთ ცოტა; ღმერთი არ არის თქვენშიო. მაგრამ კონსტანმა ბევრი აღარ ილაპარაკა და ოსმალეთის მთავრობას შეუთვალა: თუ ამა და ამ ვადაზე თქვენ დაპირებას არ შეასრულებთ, თქვენთან დიპლომატიურ ურთიერთობას შევსწყვეტავ და სტამბოლიდან წავალო. ოსმალეთის მთავრობამ მაინც არ შეასრულა კონსტანის მოთხოვნილება და კონსტანიც საფრანგეთის მთავრობის ნება-რთვით სტამბოლიდან წავიდა. ეგონათ ხონთქარი ეხლა მაინც შეშინდებაო, მაგრამ ესეც ტყუილი იმედი გამოდგა. მაინც საფრანგეთი და ხონთქარი ვერ მორიგდნენ ამ საქმეზე.

მაშინ მთელი საფრანგეთი შეინძრა. ყველა კაპიტალისტი და მათი მომხრე ხალხი და გაზეთები აყაყანდა. ყველამ ერთხმად მოითხოვა: დროა ჭკუა ვასწავლოთ ოსმალეთს და ვალის გადახდა ვასწავლოთო. ამას გარდა, გაზეთებმა გაიხსენეს ბერლინის ხელ-შეკრულობა, გაიხსენეს დაჩაგრული მაკედონია, სომხეთი და კიდევ სხვა მრავალი საქმე. ეს ორი თვეა სულ ამ საქმეებზე სწერენ და თხოულობენ: დროა ევროპამ ოსმალეთს დაპირებული რეფორმები მოახდენინოს და დაჩაგრული მაკედონიისა და სომხეთის ბედი გააუმჯობესებინოსო. იმასაც კი სწერდნენ, ვითომ ხელმწიფოები კონფერენციას გამართავენ და ოსმალეთს ყველა აღთქმული რეფორმებს შეასრულებინებენო.

საფრანგეთის მთავრობას მაინც იმედი ჰქონდა, ხონთქარი ჩვენს მოთხოვნილებას შეასრულებს და ამ იმედით ცოტა მძიმედ იქცეოდა. მაგრამ ყველა კაპიტალისტებმა, მთელმა საფრანგეთის ბურჟუაზიამ და მათმა ურიცხვმა გაზეთმა დრიალი მორთეს: ჩვენი მთავრობა რბილად, დუნედ იქცევა და ჩვენი კაპიტალისტების ინტერესებს რიგზე არ იცავსო. თუ მხნედ არ მოიქცა, საფრანგეთის სახელი ოსმალეთში სულ მთლად დაეცემაო. მთავრობაც შეშინდა და ოსმალეთის ზღვაში გემების ესკადრა გაგზავნა. ვნახოთ, ეს ხერხი როგორღა გასჭრის.

საფრანგეთი. გაზ. «გოლუა»-ს თანამშრომელს ერთი უმაღლესი მოხელისაგან გაუგია: ადმირალ კალიარს ნაბრძანები აქვს, თუ ფლოტის უბრალო დემონსტრაცია არ გასჭრის, მაშინ უფრო სასტიკად მოიქცეს და თუ საჭირო იქნება, ზარბაზნებიც დაუშინოს რომელსამე ადგილს. მეორეს მხრით «ფიგარო» იუწყება: მთავრობას ისე ხონთქრის შეშინება არ უძევს გულში, როგორც ის სწადიან, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს ვერაგობას წინააღმდეგობა გაუწიოს.

იტალია. როგორც სჩანს, საფრანგეთის გარდა, სეცაა იტალიაც მიესევა ოსმალეთს. დაბალი დობეა და ყველა ზედ გადადის. ამას წინათ ვიღაც იტალიელს ერთი ალბანიელი მოუკლავს. ოსმალეთის მოხელეებმა მოითხოვეს, ეს იტალიელი ოსმალეთის კანონების თანახმად უნდა გავასამართლოთო, რადგანაც განზრახ მოუკლავს ალბანიელიო. იტალიის ელჩი არ დასთანხმდა ამას, იტალიელს მხოლოდ თავის-თავის დასაცველად მოუკლა ალბანიელიო და თხოულობდა, იტალიელი იტალიის სასამართლომ უნდა გაასამართლოსო. ამაზე დღემდე არ მორიგებულან.

ფელეტონი

სოფლის ამხანაგობანი და მათი კავშირი.

დღეს ჩვენში სამგვარი ამხანაგობა არსებობს: გამსესხებელ-შემნახველი, სამეურნეო და მომხმარებელთა ამხანაგობა. სამეურნეო და მომხმარებელთა ამხანაგობანი ჯერ ახალი სტუმრები არიან ჩვენში. ეს არ ითქმის გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობებზე. ამათ უკვე საკუთარი ისტორია აქვთ, რომელიც მოგვითხრობს, რომ ასეთი ამხანაგობები ტფილისის გუბერნიაში დღემდის თვრამეტი დაარსებულა; ქუთაისის გუბერნიაში კი ოცდა ცამეტიდან თოთხმეტი-ღა დარჩენილა*). ჩვენში ეს ამხანაგობანი არსდებიან კერძო პირთა მოთავეობით და იხურებიან ათასი დამაბრკოლებელ გარემოებათა წყალობით. არ არსებობს ჩვენში არავითარი დაწესებულება, რომ ამხანაგობის გახსნას, თუ არსებობას ხელი შეუწყოს. რუსეთში, ასეა, თუ ისე, ერობა ზრუნავს მათზე. აგრეთვე მოსკოვის ამხანაგობათა კომიტეტი და მისი პეტერბურგელი ამხანაგობა შორიდან გასახსნელ თუ გახსნილ ამხანაგობებს ხელს აწვდის ანგარიშების შესწორებით და საჭირო ცნობების მოწოდებით. სამოცდა-ათ წლებში ტფილისშიაც დაარსებულა ასეთი კომიტეტი ჩვენებურ ამხანაგობათათვის, მაგრამ აქაურ ამხანაგობებთან ერთად დიდი ხანია განუსვენებია კიდეც. ჩვენდა სასიხარულოდ, ქუთაისის გუბერნიის ამხანაგობებს ეს დღე არ დადგომიათ. აქ თუმცა კომიტეტი არ დაარსებულა, მაგრამ ამხანაგობები ძველებიც არსებობენ (უმცირესობა) და ახლებიც არსდებიან. მოვიყვანთ აქ ცნობებს შესახებ მომქმედ ამხანაგობათა, თუ 1900 წლის დამდეგს რომელს მათგანს რამდენი წევრი ჰყოლია და რა თანხა ჰქონებია:

სახელი ამხანაგობისა.	როდის დაარსებულა.	წევრ. რიცხ. 1900 წლის დამდეგს.	წილ. ფული.	მობარებ.	სათად. თანხა.
			მანეთი.	მანეთი.	მანეთი.
ჯიხაიშის (გორა). .	1876 წელს.	572	17431	18071	3070
ოზურგეთის	1878 წ.	145	4849	2984	222
ბახვის	1881 წ. იანვ.	80	1700	865	368
ახალ-სენაკის . . .	1881 „	144	6513	9600	3276
კუხ-გუბის	1884 წ. მაისი	410	13511	9537	1350
დიდი ჯიხაიშის . .	1888 წ.	352	8506	6690	325
ნახახულევის . . .	1896 წ.	102	4687	2788	53
ასკანის	1897 წ. იანვ.	287	6422	1396	44
ხონის	1897 წ. ოქტ.	185	6117	9248	50
ამხანაგობა ერთად.		2277	69736	61179	8758

მოყვანილი სიიდან სჩანს, რომ უხუცესი და უმდიდრესი ამხანაგობა არის გორი-ჯიხაიშის ამხანაგობა, დაარსებული განსვენებული გ. ლოლობერიძისაგან ოცდა-ხუთი წლის წინეთ. იმას მოსდევს ხნოვანებით ოზურგეთის ამხანაგობა, რომელსაც ეტყობა, დიდი ხანი გაუტარებია სიღატაკის ძილში. წევრთა რიცხვით და წილის ფულის რაოდენობით კი გორი-ჯიხაიშის ამხანაგობას მოსდევს კუხ-გუბის ამხანაგობა, ამას დიდი ჯიხაიშის ამხანაგობა და მიყოლებით ასკანისა, ხონის და სხვები. სულ ყველანი შესდგებიან ორი-ათასს ორას სამოცდა-ჩვიდმეტ წევრთაგან, რომელთაც სამოცდა-ცხრაათასამდის წილის ფული შეუტანიათ ამხანაგობებში და სამოცდა-ათასამდე მეტი მიბარებელი ფული.

1897 წლიდან დღემდის სამინისტროში დამტკიცებულა შემდეგი ამხანაგობათა წესდებანი: 1) დუაბზუისა, 2) სურებისა, 3) კულაშის და 4) სამტრედიისა (ამათ მოქმედება დაიწყეს 1899 წელში); 5) ტფილისისა, 6) ლანჩხუთისა, 7) ნაგომარ-აკეთისა; 8) ლანჩქუტირისა (დაარსდა 1900 წ.); 9) ფარცხანაყანევისა (დაარსდა 1900 წ.); 10)

---

*) ამხანაგობათა შესახებ აქ მოყვანილი ცნობები ამოვიღეთ მოსკოველ კომიტეტის პეტერბურგელ განყოფილების ანგარიშიდან 1899 წლისათვის.

ავტორი

«მატენ»-ი იუწყება: იტალიის ხმელთა შუა ზღვის მეორე ესკადრა ოსმალეთისაკენ წავიდა.

ინგლისი. «ბერლინ. ტაგ.»-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება:

«იმ ამბავმა, რომ ბოტამ ბერკენლააგტესთან გაიმარჯვა, ლონდონელებს შიშის-ზარი დასცა. როგორც ისმის, მოკლულთა და დაჭრილთ გარდა, კიდევ 200—300 კაცი ტყვედაც წაუყვანიათ ბურებს. ჯარის-კაცებისათვის იარაღი ჩამოერთმიათ და ისე გაუშვით, ოფიცრები კი დატოვებინათ. ამბობენ, ბურებს სწადიანთ, უსამართლოდ დასჯილი ბურების სარდლების ჯავრი ამ ოფიცრებზე ამოიყარონო. ამიტომ ლონდონელები ძლიერ შეშინებულნი არიან. სამხედრო სამინისტროს წინ დილიდანვე დიდ-ძალი ხალხი შეიყრება ხოლმე, და მოუთმენლად ელის ახალ უფრო სწორე ამბებს. ხალხი ისეა შეწუხებული, როგორც ომის პირველ ხანებში იყო.

✡ მთავრობას, როგორც ვიცით, პარლამენტის წესების შეცვლა უნდა. ამ აზრით ახალ კანონ-პროექტს ადგენენ. რა ცვლილების მოხდენას აპირებენ, ჯერ ზედ-მიწევნით არ იციან. უნიონისტები არწმუნებიან: მთავრობას სწადიან დეპუტატებს ზოგიერთი უფლება შეუმციროსო. მაგალითად დეპუტატებს უფლება აქვთ, მთავრობას სხვა-და-სხვა საგანზე დაეკითხოს. ამ დაკითხვას კი ხანგრძლივი დაუსრულებელი კამათი მოჰყვება ხოლმე. ეხლა მთავრობას ფიქრადა აქვს, პალატის თავმჯდომარეს უფლება მისცეს, თითონ გადასწყვიტოს ხოლმე: სასარგებლოა ამა და ამ საქმეზე ლაპარაკი, თუ არაო. ამას გარდა, როცა დეპუტატს სწადიან პალატასა და საზოგადოებას დაანახვოს, რომ ესა და ეს საქმე დიდის ყურადღების ღირსია და ხელად უნდა გაირჩესო, მაშინ ამ დეპუტატს უფლება აქვს, მოითხოვოს, რომ პალატის კრება გადაიდოს. ამნაირ მოთხოვნილებასაც დაუსრულებელი კამათი მოჰყვება ხოლმე. თუ 100 დეპუტატი მაინც არ მიემხრო, არავის არ ექნება უფლება, კრების გადადება მოითხოვოს. ეხლანდელი წესდების ძალით კი 40 დეპუტატის მიმხრობაც საკმაო იყო. მთავრობას სწადიან აგრეთვე, უფრო სასტიკი სასჯელი დანიშნოს იმ დეპუტატის წინააღმდეგ, ვინც პარლამენტის წესდებას დაარღვევს. მეორე მხრით, მთავრობას განზრახვა აქვს, კერძო კანონ-პროექტის ავტორებს მეტი უფლება მიანიჭოს.

ამ რეფორმით მთავრობას სწადიან საზოგადოთ ოპოზიციას და ნამეტნავად ირლანდიელებს ხელი შეუშალოს, რომ ობსტრუქცია ვეღარ გამართონ ხოლმე.

ახალი ამბავი

◆ კვირას, 28 ოქტომბერს, სოფ. მცხეთის ახლო, გორის ეპისკოპოსმა ყოვლად სამღვდელო კირიონმა აკურთხა ბერ-მონაზონის დავითის მეცადინეობით განახლებული არმაზის ღვთის მშობლის პატარა ეკკლესია. კურთხევას დაესწრნენ სემინარიის მეექვსე კლასის მოსწავლენი, სემინარიის რექტორი და მასწავლებელნი. მ. დავითს დახმარებას უწევს ბ. ჩხარტიშვილი, რომელსაც ადგილები ჰქონებია ამ ეკკლესიის ახლო და თავის ხარჯით გზის გაყვანას აპირებს თურმე; ამ ჟამად იქ მისასვლელი გზა ერთობ გაფუჭებულია.

◆ კვირას მოხდა უკანასკნელი სხდომა მერძევეების და საქონლის მომშენებელთა კრებისა პირველად მსჯელობა ჰქონდათ კავკასიაში ერბოს წარმოების გაძლიერებაზე საზღვარ-გარეთ გასატანად. კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ სასურველია სცადონ ერბოს წარმოება საექსპორტოდ, თუმცა მწარმოებელს ეს წარმოება ჯერ-ჯერობით იმდენად ძვირად უჯდება, რომ მას ცოტა მოგება რჩება. შემდეგ განიხილეს ტიმოფეევის მოხსენება სიმინდის წარმოებაზე ქუთაისის გუბერნიაში. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ ქუთაისში სიმინდს უკავია 243 ათასი დესეტინა მიწა, რომელზედაც მოდის 25 მილიონი ფუთი სიმინდი. 1896 წლამდე სიმინდის ექსპორტი თან-და თან მატულობდა. ამ წელს გაეზიდნათ 6 მილიონ ფუთამდე, შემდეგ კი ექსპორტი თან-და-თან კლებულობს. ამ ხნის განმავლობაში სიმინდის ფასს მოაკლდა 9 კაპ. მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ის არის, რომ ქუთაისის გუბერნიის სიმინდი ვერ უწევს მოცილეობას ამერიკის სიმინდს. საჭიროა ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის მიჰმართონ ღორების მოშენებას, როგორც ეს ამერიკაში ჰქნეს. ამ საქმისათვის ერთობ კარგი პირობებია ქუთაისის გუბერნიაში მაგრამ ღორების მოშენების საქმე მაშინ არის სასარგებლო, თუ ფუთი სიმინდი ადგილზე 35 კ. მეტი არ ეღირება და გირვანქა ღორის ხორცი 7 კაპ. იქნება. საჭიროა აგრეთვე ღორების საკვები მცენარეების მოშენებაც. ადგილობრივ ჯიშის ღორი არ ვარგა, რადგან ნაკლებ ხორცს იძლევა; საჭიროა გაუმჯობესება ჯიშისა ბერკშირის ღორის საშუალებით. ღორების მოშენებას ეხებოდა ბეითალ კანცელ-მახერის მოხსენებაც. კანცელ-მახერის აზრითაც აუცილებლად საჭიროა ღორის ჯიშის გაუმჯობესობა. ამ მოხსენების მოსმენის შემდეგ, კრებამ დაადგინა—სასურველია დაარსდეს საუკეთესო ჯიშის მომშენებელი სადგური. ბ. კალანთარმა წარუდგინა კრებას მოხსენება გამოფენის სარძევე განყოფილებაზე. მომხსენებლის აზრით, ბევრი მუშაობაა კიდევ საჭირო ამ საქმის რიგზე დაყენებისათვის. ბ. ქალანთარის წინადადებით კრებამ დაადგინა ეთხოვოს სამეურნეო საზოგადოებას—იშუამდგომლოს საქონლის მოშენების გამოფენის ნება-რთვაზე. ბოლოს, რამდენიმე წვრილმან კითხვების მოხდენის შემდეგ, კრება დაიხურა.

◆ რადგანაც ტფილისში ბოლოს დროს ძალიან გავრცელდა სხვა და სხვა **გადამდები სენი**, სასანიტარო-საექიმო საბჭოს შეუმუშავებია პროექტი და განზრახვა აქვს ეხლავ შეუდგეს მათთან ბრძოლას.

◆ ტფილისში **გადამდებ სენით** საავადმყოფოში 21 ქუნთრუშიანია და 6-იც დიფტერიტიანი.

◆ ნავთლუღში **დიფტერიტია** გავრცელებული. მცხოვრებნი კი უექიმოდ არიან, რადგან ქალაქის ექიმი იქითკენ არ დადის.

◆ ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის დირექტორმა სთხოვა ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობას, მეტი შემწეობა აღმოეჩინოს ქალაქისაგან ფულით **საჯარო ლექციების** მოწყობის საქმეს.

◆ ფინანსთა სამინისტრომ შეადგინა და გაუგზავნა შინაგან საქმეთა და საერო განათლების მინისტრებს მათის აზრის შესატყობად იმ **სახალხო კითხვების** ახალი წესები, რომელთაც მართვენ სიფხიზლის საზოგადოებანი. ამ ახალის წესებით, თუ იგინი მიღებულ იქმნა, გაადვილებული იქნება სახალხო კითხვების გამართვა.

◆ როგორც გადმოგვცეს, **სიმინდის ჩრჩილს** დასავლეთ საქართველოში ამ ჟამად დიდი ზარალი მიუცია მემამულეებისათვის. ამ სენის წინააღმდეგ საშუალებად სპეციალისტებმა აღნიშნეს, რაც უკვე ვაუწყეთ მკითხველს. სასიმინდეების ჯუჯრუტანების დაგლესა, რომ ჩრჩილის პეპლები არ გამოფრინდნენ და სხვა სასიმინდეებში არ შეფრინდნენ. ამ საშუალების შესახებ, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოში არ მოხერხდება. იქაურ სასიმინდეებს ბევრი ჯუჯრუტანები აქვს. მაგრამ თუ სიმინდს კარგათ გაახმობენ, იმ შემთხვევაში ბელლებშიაც შეიძლება შენახვა. მეორე საშუალებად ურჩევენ სიმინდის გაცხელებას 60°-მდე. ჩრჩილიანი სიმინდი მავნებელი არ არის და არც ერიდებიან მყიდველები სხვა ქვეყნებში. სათესური სიმინდი კი უსათუოდ კარგათ გადარჩეული და გაბერტყილი უნდა იქნეს.

◆ **„შრომის ბიურო“** სთხოვს ქალაქის გამგეობას, ფულით დახმარება გამიწიეთ, რომ „შრომის ბიურო“ ისე გავაფართოვო, რომ ყველა ხელმოკლესათვის მისაწდომი იყოსო.

◆ ზაქათალიდან გვატყობინებენ, რომ 80 აცრილ ჰირიან საქონლიდან ჯერ-ჯერობით მომკვდარა 22 სული.

◆ ექ. ლუნკევიჩმა სთხოვა ქალაქის გამგეობას მისცეს 450 მ. კლავკოვსა და შტაკმანს **ნატახტრის წყაროების** წყლის გამოკვლევისათვის. ის ფული, რომელიც ამ საქმისათვის იყო გადადებული, დახარჯულია. გამგეობამ დაადგინა—მისცენ ხსენებულ პირებს 450 მან., მაგრამ თან წინადადება მისცენ კომისიების თავმჯდომარეებს, რომ გადადებულ ფულზე მეტი არ დახარჯონ ხოლმე. საუფლისწულო უწყე-

---

ქაგნისა (ჯერ არ დაარსებულა); 11) მაკვანეთისა; 12) შემოქმედისა; 13) ძიმითისა; 14) მიქელ-გაბრიელისა; 15) მაღლაკისა (არ გახსნილა); 16) ტობანიერისა (ისიც არა); 17) ვანისა (წელს გაიხსნა) და 18) საჯაოხოსი (ესეც).

ამ სიიდან სჩანს, რომ უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში, ერთი ტფილისის ამხანაგობის გარდა, ჩვიდმეტ სოფელს ქუთ. გუბერნიისას დაუმტკიცებინებია წესდება. გაიხსნა, თუ არა ყველა ეს ამხანაგობები, სამწუხაროდ ხელთ ცნობები არა გვაქვს ზოგიერთების შესახებ. მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩვენებურ სოფლებს შეუგნიათ ამხანაგობათა საჭიროება და ცდილობენ ამ საჭიროების გაძღოლას, დაკმაყოფილებას. ვინ არის ამ შემთხვევაში ჩვენი სოფლების დამხმარე? როგორც ზევით გვქონდა ნათქვამი, სრულიად არავინ, გარდა თითო ოროლა კერძო პირისა. და თუ მაინც ამხანაგობებს ფეხი მოუკიდნიათ და ზოგს მეოთხედი საუკუნეც გაუტარებიათ, ეს გვიმტკიცებს, რომ ჩვენში თვით-მოქმედებას, თავისი თავის შველას გაუღვიძნია. ამ გაღვიძების შედეგია, რომ თითოეული სოფელი ცალკე სცდილობს ამხანაგობა დაიარსოს. მაგრამ ვინ მოსთვლის რა გაჭირვების დღეები მოელის ახლად გასახსნელ, თუ გახსნილ ამხანაგობას? ბევრს მათგანს დამტკიცებული წესდება განუხორციელებელი რჩება; ბევრი იხსნება, მაგრამ თუ საჭირო სამუშაო თანხის უქონლობით, თუ გულ-შემატკივარი და საქმის მცოდნე მოთავის სიძვირით, უსიცოცხლოდ „პოეინობს“; ბევრი ამ მიზეზების გამო სულაც იხურება. ან კი რა უნდა ჰქნას განცალკევებულმა ამხანაგობამ? ის ვერ სარგებლობს მისი უხუცესი თანა-მოძმის ცოდნა-გამოცდილებით, რადგან მასთან არავითარი კავშირი არა აქვს; ვერ სარგებლობს კიდევ უფრო უმდიდრესი ამხანაგობის მომეტებული თანხით, რომელიც ერთს ამხანაგობას სიმეტნევისაგან უმოძრაოდ უგდია, მაშინ როდესაც მეორეს უფულობით სული ელევა. რომ ეს არ მოხდეს, რომ გაიგონ ამხანაგობებმა ერთმანეთის გაჭირვება და საერთო საჭიროებას საერთო ძალ-ღონით გაუმკლავდნენ, საჭირო შეიქნება მათი შეკავშირება.

ამ სამი წლის წინედ მოსკოვის ამხანაგობათა კომიტეტის თაობით მოხდა იქ ამხანაგობათა წარმომადგენლების კრება. ამ კრებას მოხსენდა პროექტი ამხანაგობათა კავშირისა. წელს მაშინდელი სიტყვა საქმედ იქცა კიდეც და მაისში დაარსდა ტავრიდის გუბერნიის ბერდიანის მაზრაში პირველი (რუსეთში) კავშირი იქაურ ამხანაგობათა. ამ კავშირის წესდება მინისტრთა საბჭოში განირჩა და დამტკიცდა. სამერმისოდაც ნება მიეცა ფინანსთა მინისტრს თითონ დაამტკიცოს ასეთ კავშირთა წესდებები.

ამხანაგობათა შეკავშირების აუცილებლობას ისიც გვიჩვენებს, რომ ამ ექვსი წლის წინად წესდება ამხანაგობათა შემუშავებული და შეცვლილ იქმნა, ხოლო ახალი წესდება წინანდელზე უფრო რთული და ძნელად შესასრულებელია. ახალი წესდებით ამხანაგობას ნება აქვს გირაოს ქვეშ გაასესხოს ფული და გირაოდ მიწაც მიიღოს და ამ შემთხვევაში ვადა ფულის გადახდისა ხუთ წლამდის გასწიოს, მაშინ როდესაც ძველი წესდებით ამხანაგობა ფულს სცემდა მოკლე ვადით (ერთ წლამდის) და პირადი ნდობით. ახალი წესდებით კიდევ ამხანაგობას ნება აქვს კომისიონერობა გასწიოს: მოუპოვოს წევრს საჭირო ნივთეულობა, რასაც ის კერძო მოვაჭრისაგან იძენს, აგრეთვე გაუსაღოს მას შინაური ნაწარმოები. ამ ნაირად, ამხანაგობა აღებ-მიცემობას ეწევა, საწყობებს მართავს და ამით იმავე მიზანს ემსახურება, რასაც სამეურნეო და მომხმარებელთა ამხანაგობანი.

ეს ახალი ცვლილება ამხანაგობათა წესდებაში დღემდის განხორციელებას არ ღირსებია და ცარიელ სიტყვად არის დარჩენილი, რადგან თითოეულ ამხანაგობას თავის ძალ-ღონით ვერ მოუხერხებია ერთი სოფლისათვის საწყობები გამართოს და რთული აღებ-მიცემობის ხარჯები გასწიოს. რამდენიმე ამხანაგობათა კავშირისათვის კი ეს ადვილად მოსახერხებელი იქნება. გარდა ამისა კავშირი იზრუნვებს ამხანაგობათა სხვა არსებით საჭიროებებზე: მოუპოვებს მათ საჭირო თანხას, უშოვის საქმის მცოდნე გამძღოლს, შეასწავლის ახალ ამხანაგობათა გამგეობას წიგნების წარმოებას და ანგარიშის შედგენას; მოახდენს თითოეული ამხანაგობის რევიზიას და სხვა. ამხანაგობათა კავშირის მმართველობა ეცდება აგრეთვე ახალ ამხანაგობათა დაარსებას. კავშირი მიაწვდის ხელს საშველად სამეურნეო და მომხმარებელ ამხანაგობათაც. ჯერ დღესაც მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა კუხგუბის და მახლობელ ამხანაგობათა დახმარებით არსებობს.

როგორც ზევით იყო ნათქვამი, სამეურნეო და მომხმარებელთა ამხანაგობები ჯერ ჩვენში ფეხ-მომაგრებული ვერ არიან. დიდი ხანი არ არის, რაც სამინისტროში ასეთ ამხანაგობათა ნორმალური წესდება შემუშავდა. ამხანაგობებმა მოასწრეს დაარსება ასეთ წესდების და როგორც მოახერხეს ისე დაიწყეს მოქმედება. ამიტომ არის, რომ მათს მოქმედებას ერთ-გვარობა აკლია. ერთი ამ ამხანაგობათაგანი ზევით დავასახელეთ. იგი დაარსდა ს. კუხში 1895 წელს. იმავე დროს დაარსდა გურიის „შუამავალი“, თუმცა მოქმედება ერთი წლის შემდეგ დაიწყო.

დაარსდა ასეთივე ამხანაგობა (პარკის საყიდლად) ძველს სენაკში. დაარსდა ქუთაისშიაც. მაგრამ ქუთაისის ამხანაგობა ერთის წლის შემდეგ „დიდის ამბით“ დაიხურა და შემდეგ განახლებულ იქნა „კოლხიდა“. არსდება იქვე „ზვარი“. მომხმარებელთა ამხანაგობა კი ქუთ. გუბერნიაში ერთი უნდა იყოს. ეს არის ს. მათხოჯში.

რაც ითქვა გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა კავშირზე, იგივე ითქმის სამეურნეო ამხანაგობათა შეკავშირებაზე. დღეს იარსებონ თავ-თავისთვის „ზვარმა“ და “კოლხიდამ“, მაგრამ მათი წარმატებისათვის საჭიროა, რომ ისინი ერთი კავშირის წევრნი უყვნენ. კიდევ უმჯობესია დაარსდეს ცალკე მესიმინდეთა, მეთამბაქოეთა, მეცხვარეთა ამხანაგობანი. თითოეული ამათგანი მოითხოვს დამფუძნებელ-მოთავეთაგან ცალკე სპეციალობას. ამიტომ, თუ კი აღმოჩნდება კაცი, რომ თითოეულს ცალკე გაუძღვეს, რატომ არ უნდა თანავუგრძნოთ, რატომ არ უნდა დავეხმაროთ! მაგრამ ამ ამხანაგობებს ყველას ერთად აქვსთ საერთო მიზანი—მეურნეობის ყველა დარგია წარმატება—და საერთო საჭიროებანი. აი, ამათ გასაძღოლად საჭიროა მათი შეკავშირება.

შესაძლებელი და სასურველი არის, რომ სამეურნეო გინდა მომხმარებელთა ამხანაგობანი შეუკავშირდნენ გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობებს. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ გამსესხებელ შემნახველი ამხანაგობებიც, ახალი წესდებით, ეწევიან აღებმიცემობას თავიანთ წევრთა ნაწარმოების გასასაღებლად, რაც ზევითაც მოვიხსენეთ, და სამეურნეო ამხანაგობათაც, მათი წესდებით, ნება აქვთ სესხი გასცენ თავიანთ წევრებზე მათი ნაწარმოების გირაოს ქვეშ. ცხადია, რომ ესენი ერთსა და იმავე მიზანს ემსახურებიან, რომ სოფლის მეურნეს ხელი შეუწყონ…

ამნაირად, თუ დღეს ჩვენში გაღვიძებულია სურვილი ამა თუ იმ გვარი ამხანაგობების დაარსებისა,—ეს ძლიერ კარგი და თანაც დროის ნიშნებია. ჩვენ ვნახეთ, რომ ამხანაგობები უკვე არსებობენ. ბევრს მათგანს სიახლის და გამოუცდელობის ქარტეხილი უკვე დაუძლევიათ. დღეს საჭიროა, განცალკევებული ძალები შეიკრიბოს, შეერთდეს, რომ წინსვლა მეტის სიჩქარით შევიძლოთ… ვეცდებით, რომ ამ მცირე ხანში დავბეჭდოთ, ამხანაგობათა კავშირის წესდების პროექტი.

ნ. წერეთელი

ბის პასუხის შემდეგ ცხადია, რომ ნატახტრიდან ქალაქი წყალს ვერ გამოიყვანს და რამდენიმე ათასი მანეთი კი დაიხარჯა ამ „საქმეზე“.

✦ ქალაქის გამგეობაში საკითხი აღიძრა იმის შესახებ, რომ ქალაქის გამგეობამ კავკასიის საიუბილეო სამრეწველო გამოფენის კონკურსში ექსპონატებით მიიღოს მონაწილეობა სხვა დაწესებულებებთან თუ არა. გამგეობამ მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ საჭირო საკმაო თანხა არა ჰქონებიათ და კარგათ არ შემზადებულან ექსპონატების დასამზადებლად კონკურსში მონაწილეობა მიიღონ, ნაწილ ნაწილად მაგ. ცალკე სახელოსნო სასწავლებლების ნაწარმოებით, ცალკე საპროფესიონალო ქალთა სკოლის ნაწარმოებებით და სხვ.

✦ ქალაქის მოურავად ნამყოფ გარდაცვალებულ გ. ევანგულოვს სიცოცხლეშივე შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისის ქალთა პირველ გიმნაზიის პირდაპირ გოლოვინის პროსპექტზე და ერევნის მოედანზე ბაღი გაემართათ. ეს მოხსენება ქალაქის გამგეობამ განიხილა 27 ოქტომბრის სხდომაზე და მიიღო-რა მხედველობაში ის გარემოება, რომ აღნიშნულნი ადგილები სრულიად მოუხერხებელნი არიან ბაღის გასამართავად გარდასწყვიტა წინადადება მიეცეს სატყეო კომისიას გამოსძებნოს მოხერხებული ადგილი ვერაზე იქ სკვერის გასამართავად, რადგანაც ქალაქის ამ ნაწილის მცხოვრებნი სრულიად დაშორებულნი არიან ქალაქისშუა-გულ ბაღ-სკვერებს და ისეც ვერაზე ხეები არ არიან გაშენებულნი, ხალხი მოკლებულია სიცხეებში დასასვენებელ სუფთა ჰაერიან ბაღით სარგებლობას.

✦ ქალაქის გამგეობის 27 ოქტომბრის სხდომაზე განიხილეს ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის განცხადება იმის შესახებ, რომ ქალაქმა გაიღოს 130 მან. მას მიერ შედგენილ თხზულების „ისტორიული მიმოხილვა ტფილისის ქალაქის სასანიტარო სამკურნალო საქმეების ასის წლის განმავლობაში“ 600 ცალის დასაბეჭდ-გამოსაცემლად. გამგეობამ შეიწყნარა ეს მოსაზრება და გარდასწყვიტა დაიბეჭდოს ქალაქის ხარჯით 300 ცალი, რომლისთვისაც საჭირო ფული შეტანილ იქნეს მომავალწლის ხარჯთ-აღრიცხვაში. ამ დადგენილებას არ ეთანხმება გამგეობის წევრი ბ-ნი ხოსროევი, რომელიც ამბობს, რომ ინსპექტორს წინადადება ჰქონდა მიცემული, ეს მიმოხილვა შეედგინა მიტომ კი არა, რომ გამგეობას იგი გამოეცა, არამედ იმიტომ რომ იგი უნდა წარდგენოდა განსახილველად კავკასიის ექიმთა მეორე კრებასთა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა გადაეცეს საბჭოს სხდომების ანგარიშების ბეჭდვა სხვა სტამბას, რადგან ქართველთა ამხანაგობის სტამბა დროზედ ვერ ასწრობს ბეჭდვასაო. საკვირველი აქ ის არის, რომ 8 წელიწადი და 9 თვე ეს სტამბა ყველაფერს დროზე ასწრებდა, ეხლა კი თითზე ეს სიმართლეს მოკლებული მიზეზი დაიჩვიეს.

✦ ოლქის სასამართლომ მოსპო საქმე კავკავის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორის გრუშევსკისა და იგ. **ხაჩატუროვისა**. როგორც ვიცით, გრუშევსკი ცილის წამებას უჩიოდა ხაჩატუროვს.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა დაურიგა უბნის პოლიციელებს კავკასიის მთავარმართებლისაგან ნაბოძები ჯილდო ფულით საიუბილეო დღესასწაულის დროს შრომის გაწევისათვის.

✦ კერძო ვექილი ზეიდალოვი პასუხის გებაში მიცემული პატარა ბიჭის, გვარად ჯიოშვილის უწყალო ცემისათვის. საქმის გამოძიება მინდობილი აქვს პირველი განყოფილების გამომძიებელს.

✦ გიჟების სადგომი სახლი (ეჯუბოვის და ბარონესა ტიზენჰაუზენის, კოჯორის ქუჩა) დიდი ხანია შეკეთებას საჭიროებს, მაგრამ პატრონები თავს არ იწუხებენ. ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა —თუ სამის დღის განმავლობაში არ შეაკეთეს სახლი, თვით გამგეობამ შეაკეთოს იგი და დანახარჯი ქირიდან გამოირიცხოს.

✦ ქუთაისის ქუჩის (ტფილისში) მცხოვრებნი სწერენ ქალაქის გამგეობას: ოცი წელიწადი სინიდისიერად და თავის დროზე ვიხდით საქალაქო გადასახადს, ოცი წელიწადია ვთხოულობთ ქუჩის მოკირწყვლასა და განათებას, მაგრამ ვერს ვეღირსეთ, ამიტომ გთხოვთ ან მოგვეცით ექვსის თვის ვადით ამ საქმისათვის საჭირო ფული ან და უვაქროთ იჯარით მოგვეცით ეს საქმე იმ პირობით, რომ ნახევარი ხარჯი ქალაქმა იკისროს. გამგეობამ მიიღო ეს უკანასკნელი წინადადება.

✦ გუშინ ყასაბმა ტურანოვმა წამოიღო ქალაქის სასაკლაოდან დაკლული ცხვრები, გზაში შეიარა ბაინდუროვის ეზოში, სადაც მას ცხვრის ფარა ჰყავს, აქ მკვდარი ცხვრები შეურია დაკლულებს და ქალაქში წამოსვლა დააპირა. ეს შეამჩნია პოლიციელმა და ისევ სასაკლაოზე წაიყვანა ტურანოვი. აქ გამოარჩიეს მკვდარი ცხვრები და დასწვეს.

✦ მელიქ-ბახტამიანცმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, მისცეს მას ნება ერევნის მოედანზე სარძევე პავილიონის დადგმისა. გამგეობამ უარი უთხრა უადგილობის გამო.

✦ პოლიციის მე-6 ნაწილში, 28 ოქტომბერს, ვარანცოვის ქუჩაზე, ჩხუბის დროს ტფილისში მცხოვრებელს ვასილ პოპოვს დანით სასიკვდილოდ დაუჭრია მიხეილ იარალოვი, რომელიც თუმცა მაშინათვე მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ, მაგრამ იარალოვი გზაშივე გარდაცვლილა. პოპოვი პასუხის გებაში იქმნა მიცემული. გამოძიება სწარმოებს.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში სპარსეთის ქვეშევრდომმა ბახდარ ნაგის-ოღლიმ განაცხადა: ციციშვილის აღმართზე 28 ოქტომბერს ღამით ორი ვიღაც უცნობი კაცი თავს დამეცნენ, და გამლახეს და ჯიბიდან 10 მანეთი მომტაცესო. გალახულს ერთი უკვე უცვნია, რომელიც ტფილისის მოქალაქე ასლან ტატუზოვი ამოჩენილა. საქმე გამოძიებას გარდაეცა.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში 26 ოქტომბერს აზან-ალიმამედ-ოღლის ჩხუბი მოსვლია სპარსეთის ქვეშევრდომთან ნაუმ-ალი ალავერდი-ოღლისთან, რომელიც დაუჭრია პირველს ხანჯლით რამდენიმე ადგილას. დამნაშავე გამოძიებას გარდაეცა.

კავკასიის გამოფენა

დასრულდა გამოფენის პროფესიონალურ სკოლების განყოფილების ექსპონატების ექსპერტიზა. აღსანიშნავია, რომ კომისიაში არ ყოფილა არც ერთი პირი, რომელსაც ფეიქრობა სცოდნოდა.

**

გუშინ შეუდგნენ გამოფენილ თამბაქოს ნაწარმოებების ექსპონატების ექსპერტიზას.

**

„ყვავილების დღესასწაული“ უამინდობის გამო გადაიდო ოთხშაბათისათვის.

**

კვირას გამოფენაზე ყოფილა 7854 კაცი, ამათგან 111 უფასო ბილეთით.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება

კვირას, 28 ოქტომბერს, „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წლიურს კრებას იმდენი წევრი და გარეშე ხალხი დაესწრო, რომ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში ტევა აღარ იყო. სხდომა დაიწყო გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის ბ-ნ ნ. ზ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით. წასულ წლის საზოგადო კრების ოქმის შეუცვლელად დამტკიცების შემდეგ კრებამ მოისურვა, მოესმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის 1900 წლის მოქმედების ანგარიშის შესახებ. რადგანაც გამგეობის მოქმედების 1900 წლის ანგარიშის შინაარსი უკვე თავის დროზე გვქონდა აღნიშნული, აქ აღარ გავიმეორებთ. სარევიზიო კომისია აღნიშნავს რა თავის მოხსენებაში ფულის ანგარიშის სისწორით შედგენას, აცხადებს, რომ საზოგადოების ერთი უსაჭიროესი საზრუნავი საგანი მუზეუმისათვის საკუთარის შენობის აგებაა. წასულ წლის კრებამ დაავალა გამგეობას ეზრუნა ამ საქმისათვის, მაგრამ მას არაფერი გაუკეთებია. შემდეგ, სარევიზიო კომისიის აზრით მეტად უხერხულია ის გარემოება, რომ ხაზინადრად ითვლება გამგეობის ერთი წევრი და ნამდვილათ ხაზინადარი გამგეობის მდივანია. კომისია უსაყვედურებს გამგეობას, რომ გამგეობის წევრის ი. აბაშიძის ნაცვლად კანდიდატი მოუწვევია. გამგეობას არც ერთხელ საზოგადოების სახალხო ბიბლიოთეკები არ დაუთვალიერებია, ამბობს კომისა, თუმც ყველაფერი იქ რიგზეა, მაგრამ საჭიროა ხანდისხან მათი დათვალიერებაო. გამგეობა ვერ ახერხებს საწევრო ფულის მოკრებას. სარევიზიო კომისია აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ სოფლებზე დარჩენილი სკოლის ვალი ვერ იკრიბება და ამიტომ საჭიროა ეს ვალი ეპატიოს სოფლელებს. გამგეობის მოქმედებაში არ სჩანს ზრუნვა სკოლებთან საღამოს კურსებისა და საკვირაო სკოლების დაარსებისათვის, თუმცა ეს დავალებული ჰქონდა მას საზოგადო კრებისაგან. მიუხედავათ იმისა, რომ გამგეობას რამდენჯერმე დავალებული ჰქონდა საკუთარი ინსპექტორი ჰყოლოდა საზოგადოების სკოლებისათვის, გამგეობა არ ცდილა ამ ფრიად საჭირო საქმისათვის და ამიტომაც სკოლების თვალყურის დევნებაც ვერ იყო კარგად მოწყობილი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული, გამგეობის კანცელარიაში არ არის კვალი ქუთაისის სამზრუნველო კომიტეტის მოქმედებისა.

ა. დუღაძე ჰკითხულობს რა: მიზეზია, რომ გამგეობამ სარევიზიო კომისიის მოხსენება ანგარიშთან ერთად არ დაბეჭდა, თანახმად მისის თხოვნისა.

ნ. ცხვეთაძე. გამგეობამ განიხილა თქვენი თხოვნა და მეტად მიიჩნია კომისიის მოხსენების ანგარიშთან ერთად დაბეჭდვა.

გ. თაყაიშვილი. ჩვენ სარევიზიო კომისიის მოთხოვნა სავალდებულოდ არ მიგვაჩნია; აქამდის წესად იყო, რომ კომისიის მოხსენება ცალკე წარდგენოდა საზოგადო კრებას განსახილველად და თუ კრება მოისურვებს, ჩვენ დიდის სიამოვნებით დავექვემდებარებით კრების გარდაწყვეტილებას და კომისიის მოხსენებასაც ანგარიშთან ერთად დავბეჭდავთ.

ი. მაჩაბარიანი. დიდათ გმადლობთ, რომ საზოგადოების სურვილს ემორჩილებით, მაგრამ ეს კი უცნაურია, რომ გამგეობა მისთვის სასარგებლო რაღაც მოსაზრებით მოქმედებდა, როცა ი. აბაშიძის ნაცვლად სხდომაზე კანდიდატს არ იწვევდა, რაშიაც ჩვენ ამ მორჩილებას ვერა ვხედავთ.

თავმჯდ. ცხვეთაძე. ეს განზრახვით არ მომხდარა; ეს მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ გამგეობაში საკმაო რიცხვი იყო წევრებისა და აღარ ვსაჭიროებდით კანდიდატის მოწვევას. რაც შეეხება სარევიზიო კომისიის შენიშვნას მუზეუმის დაარსების შესახებ, ამ საქმისათვის ჯერ სახსარი არა გვაქვს და ყოველივე ღონეს ვიხმართ მალე განვახორციელოთ იგი.

გ. დეკანოზიშვილი. სარევიზიო კომისიის მოხსენება უსათუოდ უნდა დაბეჭდილიყო, რადგანაც უმისოდ შეუძლებელია კრებას გათვალისწინებული ექნეს გამგეობის მთელი მოქმედება.

ა. დუღაძე. გამგეობას ჩვენი მოთხოვნა უსათუოდ უნდა შეესრულებია. მე ვითხოვ შემდეგისათვის მაინც დაიბეჭდოს სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის ანგარიშთან ერთად. კარგა ხნის კამათის შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა, რომ გამგეობის ანგარიშთან დაიბეჭდებოდეს ხოლმე კომისიის მოხსენებაც.

კრებამ მიიღო აგრეთვე **მ. გედევანიშვილის** წინადადებაც, რომ სარევიზიო კომისიის მოხსენებასთან ერთად იბეჭდებოდეს გამგეობის პასუხიც.

დიდი და გამწვავებული კამათი გამოიწვია ბ-ნ **სურგულაძის** შენიშვნამ იმის შესახებ, რომ კავკავის სკოლის გამგებლობა უნდა ჩაებაროს სკოლის უფროსს მასწავლებელს და არა გარეშე პირს. **გოლსკი და გომელაური** საჭიროდ სცნობენ კავკავის სკოლაში არსებულ წესის შეცვლას.

ი. გოგებაშვილმა დიდხანს ილაპარაკა ამ საკითხის შესახებ და ამტკიცებდა, რომ კავკავის სკოლას უფროსი მასწავლებელი უნდა განაგებდეს, რადგანაც უმისოდ ყოვლად შეუძლებელია როგორც პედაგოგიისა, აგრეთვე სხვა მხრივაც სკოლის საქმე კარგად წავიდესო. რომ არსებული წესი ყოვლად მავნებელია საქმისათვის, ეს იქიდან ჩანს, რომ სკოლაში ბევრი უწესოება ხდება და საქმე იქამდის მივიდა, რომ მოსწავლეებს თავ-პირს ამტვრევენ.

გამგეობის წევრებმა ერთხმად მიაძახეს გოგებაშვილს, რომ მისი ნათქვამი ჭორია.

ნ. ცხვეთაძე. გამგეობას მოუვიდა საჩივარი ერთ მასწავლებელზე, მაგრამ სანამ ამას გამგეობა განიხილავდა, სამოსწავლო მთავრობამ გამოიძია ეს საქმე და მასწავლებელი უდანაშაულო აღმოჩნდა.

შემდეგ გამგეობამ ბ-ნი ზურაბიშვილისა და ნ. ცხვეთაძის პირით განმარტა, რომ ამ სკოლას, როგორც სხვა სკოლებსაც განაგებს პედაგოგიური საბჭო ბ. გოთუას თავმჯდომარეობით. მხოლოდ ბ. გოთუა ამასთანავე პასუხისმგებელია სამოსწავლო მთავრობის წინაშე. გამგეობამ ერთხელ სცადა ამ სკოლაში არსებულ წესის შეცვლა და წარადგინა ერთი მასწავლებელთაგანი სკოლის გამგედ, მაგრამ მთავრობამ არ ისურვა წესის შეცვლა.

ი. ზურაბიშვილი. მე კერძოდ მწუხარებასაც ვაცხადებ იმ გარემოებისა გამო, რომ ბ-მა გოგებაშვილმა კოლლეგიის ეთიკაც კი დაარღვია, და თუ იმ სკოლის შესახებ რაიმე ჰქონდა სათქმელი, აქ გამგეობაში არა სთქვა, რომ ეს საკითხი აქ გაგვეხილა და ჩვენი მოსაზრება გამოგვეთქვა.

ი გოგებაშვილი. ამ საგნის შესახებ ათჯერ მაინც აღვძარი საკითხი გამგეობაში, მაგრამ მაინც არა გამოვიდა რა და მე რა ვქნა, თუ ბ-ნი ზურაბიშვილი გამგეობის სხდომებზე არ დაიარებოდა.

ი. ზურაბიშვილი. როგორც საზოგადოების ანგარიშიდან სჩანს, მე 23 ჯერ დავსწრებივარ და გოგებაშვილი კი 22 ჯერ, საიდანაც ცხადია ვინ უფრო დადიოდა სხხომებზე. ხოლო რაც შეეხება მის განცხადებას, ეს სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც მას გამგეობაში ეგ საკითხი ოფიციალურად არ დაუყენებია.

თავმჯდომარემ ამ საგანზე მოსპო ლაპარაკი იმ მოსაზრებით, რომ ეს საქმე განსახილველად არ არის დანიშნული და ვისაც უნდოდა, განცხადება უნდა შემოეტანა გამგეობაში ერთი კვირის წინ. ზოგიერთები ამას წინააღდეგნი გაუხდნენ და ამბობდნენ, რომ ეს საკითხი ანგარიშს შეეხება და ანგარიში კი დღეს გვაქვს განსახილველადაო.

გ. დეკანოზიშვილი. ანგარიშიდანს სჩანს, რომ ბათუმის სკოლაში 200 მოსწავლეა და ორი მასწავლებელი. ყოვლად შეუძლებელია, სასურველად გაუძლვეს სწავლის საქმეს ორი მასწავლებელი, თუ მესამეც არ მიემატათ. ამიტომ საჭიროა რამე წყარო გამონახოს გამგეობამ და იქ მესამე მასწავლებელი დანიშნოს.

თავმჯდომარე. ფული არა გვაქვს და საიდან შეგვიძლიან მესამე მასწავლებელი მივიწვიოთ. ამდენი ყმაწვილები იქ არ უნდა მიეღოთ.

სურგულაძე. გომარეთის სკოლაზე ფული იხარჯება და ხალხს სკოლაში ბავშვი არ მოჰყავს, ამიტომ ჩემის აზრით, უკეთესი იქმნება ჩვენი მატერიალური ძალა იქით მივმართოთ, სადაც შედეგად მეტი ნაყოფი დაგვრჩება. საჭიროა ბათუმში მესამე მასწავლებელი.

გ. თაყაიშვილი. საზოგადოდ იმერეთში სწავლის წყურვილი და მისი მნიშვნელობა უკანასკნელ მივარდნილ კუთხის გლეხმაც შეიგნო და ამიტომ იგი ეცდება 10 ვერსზედაც გაგზავნოს თავისი შვილი და წერა-კითხვის უცოდნელი არ დასტოვოს; ხოლო რაც შეეხება ქართლ-კახეთში, აქ სულ სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირად არის დაყენებული საქმე და აქ მეტი ძალა გვჭირდება და მეტი ხარჯი, რომ ხალხმა შეიგნოს სწავლა განათლების საქმე და ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ ბ-ნ სურგულაძის აზრის. ცოტა ხნის კამათის შემდეგ კრება დაკმაყოფილდა გამგეობის განმარტებით, რომ ბათუმში მასწავლებლისათვის საჭირო ფული არ არის.

ბ. სურგულაძე. შეეხო საზოგადოების სკოლებში სწავლის საქმეს და სთქვა; მე არა ნორმალურ მოვლენად მიმაჩნია, რომ ჩვენს სკოლებში მოსწავლე ახალ გაზრდობას ასწავლიან, ისეთი წიგნების საშუალებით როგორც მაგალ. ვეფხვის ტყაოსანი და ორბელიანის არაკებია, მაშინ როდესაც ბავშვის გონებას სრულებით არ შეუძლიან მათი მონელება და არც მნიშვნელობა ექნება ასეთს სწავლებას; ჩვენ უნდა თანამედროვე ცხოვრების შეხედულების წიგნებზე აღვზარდოთ ბავშები, ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია, შემუშავდეს ხელ-ახალი პროგრამა ქართულ ენის სწავლებისა როგორც ქუთაისისა, აგრეთვე ტფილისის სათავად აზნაურო სკოლაში. გარდა ამისა, სურგულაძემ აღნიშნა ის გარემოება, რომ ქუთაისის სკოლის უფროსის ნება აქვს მიცემული ადგილობრივ კომიტეტისაგან პირველ გაკვეთილის დროს არ იყოს სკოლაში. ამ გვარად სკოლა უუფროსოდ არის ერთხანს და ეს სკოლის საქმეს ავნებსო.

გ. თაყაიშვილი. ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული, რომ ამ დროის წიგნები შემოვიღოთ სახმარებლად სკოლებში, ნება დართული გვაქვს ის წიგნები, რომელსაც ეხლა ვხმარობთ. თუმცა სასურველია ზოგიერთი ისეთი წიგნების ხმარებაც, როგორსაც ამბობენ, მაგრამ რა ვქნათ, რომ ნება არა გვაქვს. რაც შეეხება სკოლის უფროსზე სიტყვებს ბ. სურგულაძისას, მე უხერხულად მიმაჩნია, რომ ამ საგანზე ილაპარაკოს ისეთმა პირმა, რომელიც ვერ შეეთვისა ორთავე სკოლას. გარდა ამისა, ტფილისის სკოლაზე აქ ლაპარაკი მეტია, რადგან იგი სულ სხვა დაწესებულებას ექვემდებარება.

ბ-ნმა სურგულაძემ საპასუხო სიტყვაში შეურაცხყოფა მიაყენა თაყაიშვილს, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია საზოგადოებაში და ბ. სურგულაძეს ბოდიში მოახდევინეს კრების წინაშე.

შემდეგ **მ. კლიმიაშვილმა** აღძრა საკითხი საკვირაო სკოლებისა და საღამოს კურსების დაარსებაზე საზოგადოების სკოლებთან და გამოთქვა სურვილი, რომ მეტი ყურადღება იქმნეს მიქცეული ამ საქმისადმი.

ნ. ცხვედაძე. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს თვით სკოლის მასწავლებლებს; თუ იგინი თაობენ, ჩვენც შემწეობას ვაძლევთ ამ საქმეში.

ბ-ნმა რატიშვილმა და სხვებმაც აღნიშნეს რომ ეს საქმე რთულია და სიტყვის მაგივრად საჭიროა პრაქტიკულად დაგვეხმაროს თვით საზოგადოება; ჩვენ საქმე გვინდა და ცარიელ სიტყვებით ვერას გავაწყობთ.

მ. მამულაშვილი. რა მოსაზრებით ინიშნება ჩვენს სკოლებში რევიზორებად ისეთი პირები, რომელთაც პედაგოგიისა არა გაეგებათ-რა? რა მოსაზრება უნდა წარმოგიდგინოთ არა სპეციალისტმა სკოლაში, სწავლის მდგომარეობის შესახებ, მაგალითად ბ. ზურაბიშვილმა, რომელიც რევიზორად იყო წასული ქუთაისის სკოლაში. მე საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჩვენს საზოგადოებას ეყოლოს განსაკუთრებული რევიზორი.

ბ. მამულაიშვილს აუხსნა გამგეობამ, რომ ბ. ზურაბიშვილის რევიზორობა ეკუთვნის არა საანგარიშო წელს და გარდა ამისა მაშინ ზურაბიშვილთან ერთად პედაგოგებიც იყვნენ. ამასთან გარდა პედაგოგიურ ნაწილისა სკოლას სხვა მხარეებიც აქვს.

ბ. დუღაძე ეთანხმება მამულაიშვილის მოსაზრებას და ამბობს: ეს მით უფრო სასურველია, რომ ჩვენ რევიზორს სხვა საქმესაც დავავალებთ; მაგ. საზოგადოების წევრებისაგან წელს 737 მან. მეტი შემოტანილი არ არის; სკოლების მოვალეებს დროზე ფული ვერ ხდებათ და სხვ.

ცოტა ხნის კამათის შემდეგ, რადგანაც გამოირკვა, რომ უფულობისა გამო განსაკუთრებული რევიზორის მოწვევა არ შეიძლება, კრებამ მიიღო ბ-ნ ი. გოგებაშვილის მოსაზრება, მეტი გასამრჯელო მიეცეს საზოგადოების გამგეობის მდივანს და მას მიენდოს საზოგადოების სკოლების დათვალიერების საქმე.

გომელაური აცხადებს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ უფრო საჭირო წიგნების მაგივრად გამგეობას გამოუცია სიმღერები ნოტებზე, „ბროლის ყელი“, „შავი შაშვი“ „ინდი-მინდი“ და სხ.

ექ. თაყაიშვილი. მაშ როგორ მოვქცეულიყავით, რომ ეს სახალხო სიმღერები არ გამოგვეცა, როცა ამ საქმისათვის გადმოგვცეს ფული. გომელაური, კლიმიაშვილი, თავართქილაძე და სხვანი ითხოვენ უკეთესად მოეწყოს წიგნების გამოცემის საქმე, იბეჭდებოდეს პატარ-პატარა იაფი წიგნები და ზოგი ისეთი საჭირო წიგნების გამოსაცემად, რომელთაგან ხარჯის დაფარვა მოსალოდნელია, გამგეობამ განსაკუთრებულ დანიშნულების თანხის ფულიც არ უნდა დაიშუროსო. პ. უმიკაშვილმა და ი. ზურაბიშვილმა აღნიშნეს, რომ ამ საქმეში თვით წევრთა მონაწილეობაცაა საჭირო. მარტო საწევრო 6 მანეთის გადახდა წევრისაგან არ კმარა; საჭიროა მეტი დახმარება საზოგადოებისაგან.

გ. დეკანოზიშვილი. მოსაზრება წიგნების მაღაზიის გაფართოვების შესახებ არ იქმნა მიღებული უფულობისა გამო.

ი. მაჭავარიანი. გამგეობის მიერ წიგნების გამოცემას სრულიად შემთხვევითი ხასიათი აქვს. ამიტომ ჩემის აზრით საჭიროა სარედაქციო კომისია შევადგინოთ და მას მივანდოთ წიგნების გარჩევა და გამოსაცემლად გამგეობისათვის წარდგენა.

ი. გოგებაშვილი ამბობს, რომ წიგნების გამოცემის დროს ჩვენ ვერ ვიხელმძღვანელებთ მარტო იმ მოსაზრებით, რომ იქიდან რაიმე გამორჩენა გვექნეს, სახეში უნდა მივიღოთ საქმის ვითარების სხვა მხარეც.

კარგა ხანს კამათი გამოიწვია მ. კლიმიაშვილის განცხადებამ როინაშვილისეულ ფოტოგრაფიის იჯარით გაცემის შესახებ. ფოტოგრაფია ამ პირობებში ზარალის მეტს ვერაფეს მოგვცემსო. კრებამ კამათის შემდეგ გადასწყვიტა მიანდოს ფოტოგრაფიის საქმე თვით გამგეობას და როგორც ის დაინახავს საზოგადოებისათვის სასარგებლოდ, ისე მოიქცეს.

როგორც გუშინ გვქონდა მოხსენებული, უკვე საღამოს 5 საათი იყო, როცა ანგარიში კრებამ დაამტკიცა, და რადგანაც გვიან იყო, ზოგიერთებმა ითხოვეს კრების გადადება საღამომდე. თავმჯდომარემ სხდომა გადადო მომავალ კვირისათვის. ამ გარემოებამ უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებაში, რადგანაც ბევრსა ჰსურდა, რომ კრება იმავ საღამოს ყოფილიყო.

თეატრი

ოპერა. დრამებისა და კომედიების ჩვენ შინაურ ოსტატებს ხშირად უსაყვედურებთ ხოლმე დედანის დამახინჯების და პიესის აზრის შეცვლას და გადასხვაფერებას. საყვედური სამართლიანია; თუმცა ჩვენს შინაურ ოსტატს უფრო ეპატიება ეს ხელობა, მით უფრო, რომ ესენი სამშობლო სცენის სარგებლობისათვის უფრო სცდილობენ. მაგრამ როდესაც შესანიშნავ და კლასსიკურ ნაწარმოებს ამახინჯებენ საქვეყნოთ—ეს არამც თუ არ ეპატიება—დიდ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს და ყველა ეწინააღმდეგოს. კვირას სახაზინო თეატრში დასდგეს ოპერა ჰამლეტად წოდებული; მუსიკა ტომასია. ბ. ტომას ამ ოპერისათვის სხვა სახელიც რომ დაერქვა, ისევე მოუხდებოდა, როგორც ჰამლეტი. ისეთ ნაირად დაუმახინჯებია ტიპები, რომ სწორეთ საზიზღარია. აკი მოგახსენებთ: ტანთ-საცმელი და სახელები რომ სხვა ჰქონოდათ მოთამაშეთ, მნახველი ვერც კი მიხვდებოდა, ოპერის შინაარსი საიდგანაა აღებული.

ამ გარემოებამ და მოსაწყენ მუსიკის ერთფეროვნებამ აწამა მოთამაშენიც და საზოგადოებაც. ბევრსა სცდილობდა მაქსაკოვი—ჰამლეტი, ბრონსკისა – ოფელია, პოპოვისა—დედოფალი, გორიანოვი—მეფე, სული ჩაედგათ, ცოცხლად ეთამაშ ემღერნათ თავ-თავიანთი პარტიები, მაგრამ ამათი ჰამლეტის ტიპი მისი ბუნება ადგილ-ადგილ ისე შეცვლილია მუსიკით, რომ არტისტს არ შეუძლიან დაიცოს თავიდამ ბოლომდე ერთ-ფეროვნება, ერთსულოვნება. ახლა მუსიკა? არც ერთი ადგილი არ არის ოპერაში, რომელმაც ადამიანის გულის გრძნობა გაიტაცოს. ტრაგედიის ზოგიერთი მოქმედნი პირნი, მაგ. ჰორაციო, ლაერტი, პოლონი, ხომ არ ჩანდნენ. უკანასკნელი მოქმედება წარმოადგენს შეშლილს ოფელიას. კომპოზიტორს ყველა გულქვად გაუხდია· წყლის ნაპირას ხალხია, შემოდის შეშლილი ოფელია. ცოტა ხანს შემდეგ ხალხი ცეკვა-თამაშით—თითქო უხარიანთ ოფელიას ამგვარი მდგომარეობა—გადიან და შეშლილ ოფელიას მარტო სტოვებენ... ოფელია წყალში გადავარდება და თავს იხჩობს. თუ ეს ხალხი ოპერის გასაცოცხლებლად უნდოდა (ბალეტია), ამისათვის თუ მაინც და მაინც ბალეტი უნდოდა, ისევ მესამე მოქმედებაში სჯობდა, ჰამლეტის მიერ წარმოდგენის გამართვის წინ. ერთის სიტყვით, მარტო ჩვენები არ ამახინჯებენ სხვის ნაწარმოებს, სხვებიც არიან და უფრო საქვეყნოდ გამამასხარავებელნი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვ, თქვენს პატივცემული გაზეთში ადგილი დაუთმო ჩემ ორიოდე სიტყვას. „ცნობ. ფურცლის“ 1597 ნომერში ადგილობრივ კორესპონდენტს წ. დაუწერია, ვითომ მე ჩემი დაკარგული ცხენი ვნახე იმ თვის პირველ რიცხვებში, და არ ვამხელ, ცხენი ვინ მომიყვანა და ან სად ვიპოვე. მე არ მეგონა, თუ საჭირო იყო გაზეთში გამომეცხადებია ეს ამბავი ყველა ცნობის მოყვარეთათვის, სიტყვიერად კი ყველას უთხარი, ვინც კი მკითხა, რომ ცხენი ვნახე მე-10 დღეს დიდის ძებნის შემდეგ ივან-დიდს, ხონის მახლობლად, მეველე ქუთათელაძესთან, რომელმაც ჩამაბარა ცხენი, როდესაც დავუმტკიცე, რომ ჩემი ცხენი იყო. ამ შემთხვევას დაესწრო ივან-დიდის მცხოვრები ბათლომე ქუთათელაძე და მე-3 პირი ერთი კიდევ მოხუცებული კაცი, მათი მეზობელი. აქ მომასწავლეს მწყემს ბავშებმა, ეს იყო და ეს და მგონი აქ საგაზეთო არაფერი ყოფილა.

ი. გ. ქაჯაია.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

29 ოქტომბერი

ირკუტსკი. დღეს გუბერნატორი მოლერიუსი დაბრუნდა. გუბერნიის მმართველი პოლკოვნიკი თავადი ვოლკონსკი პეტერბურგში მიდის.

კიევი. კიევის გუბერნიაში სასოფლო საექიმო ნაწილისათვის ახალი წესები შემოიღეს. წელს ხუთი სამკურნალო გახსნეს; მომავალ იანვარში ექვსი ახალი სამკურნალო გაიხსნება

სარატოვი. საიმპერატორო ტეხნიკურ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებას განზრახვა აქვს 1903 წელს ტეხნიკური შინამრეწველობის გამოფენა გამართოს. გამოფენის გეგმის შედგენა განსაკუთრებულ კომისიას მიენდო.

ყაზანი. სამარხიდე გზა გაკეთდა.

პენზა. თოვლი მოვიდა

პარიზი. ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა შეატყობინა წერილით საფრანგეთის მთავრობას, რომ პორტამ 1) იცნო დღევანდელი არსებობა საფრანგეთის ეხლანდელი სკოლების და განათავისუფლა ისინი სადამღო გადასახადისგან, თანახმად არსებულ ხელ-შეკრულებათა და კონვენციებისა, 2) იცნო აგრეთვე დღევანდელი არსებობა საფრანგეთის საავადმყოფო და რელიგიურ დაწესებულებათა და განათავისუფლა ისინი საადგილ-მამულო და სადამღო გადასახადებისაგან, 3) ნება დართო რომ აშენონ, შეაკეთონ ან გაადიდონ სასკოლო, საავადმყოფო და რელიგიური დაწესებულებანი, რომელნიც დაზარალდნენ და დაანგრიეს 1894-სა და 1896 წლებში მომხდარ არეულობის დროს აზიის ოსმალეთში და კონსტანტინეპოლში, 4) პირობა დადო, რომ ნება დართულად იცნობს დაარსებას, მომატებას, ან შეკეთებას დაწესებულებებისას, თუ საიმპერატორო მთავრობა ნახევარ წლის განმავლობაში დღიდან შეტყობინებისა არ წარმოადგენს საწინააღმდეგო პასუხს, 5) დაამტკიცა ქალდეის პატრიარხის არჩევანი. გარდა ამისა საფრანგეთის საელჩოს წარუდგინეს იმის დამამტკიცებელი დოკუმენტები, რომ უკვე შეუდგნენ ზემოდ ნახსენებ მუხლების ასრულებას. ამიტომ დელკასემ შეატყობინა პორტას, რომ საფრანგეთი ანახლებს დიპლომატიურ დამოკიდებულებას ოსმალეთთან და რომ ადმირალ კაილარს გაეგზავნა ბრძანება თავი დაანებოს მიტილენეს.

კონსტანტინეპოლი. ხმა, ვითომც პორტას ეთხოვოს ინგლისისათვის მცირე აზიის დაფარვა საფრანგეთის განზრახვებისაგან თანახმად 1878 კონვენციისა, აქ უსაფუძვლოდ მიაჩნიათ.

პარიზი. ადმირალ კაილარის ესკადრა, როგორც ჰფიქრობენ, მიტილენედან სირაში, ელჩი კონსტანი მალე დაბრუნდება კონსტანტინეპოლში.

ბარცელონა. საქალაქო არჩევნების დროს დიდი არეულობა მოხდა; ბევრ ადგილას სისხლი დაიღვარა, კატალონელები და რესპუბლიკელები ერთმანერთს რევოლვერებს ესროდნენ. ერთი მოკლულია და 40 დაჭრილი.

ათინა. სტაკიოსში ინგლისელ კრეისერს «როიალ სოვერენზე» გასქდა დიდი ზარბაზანი. ერთი ოფიცერი და 6 არტილერისტი მოკლულია; კამანდირი და 13 მეზღვაური მძიმედ დაჭრილია.

რედაქტორი ილ. ჭყონია.
გამომცემელი ილ. ჯაბადარი

ისტორიული თხზულება (რუსულად)
ზ. ავალიშვილისა
საქართველოს
შეერთება რუსეთთან
ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში. ისყიდება იქვე და ლ. ხიდდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

ტელეფონი № 741.

განმარტება

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობისაგან.

ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „ფარმაცევტების გარდა სხვებსაც შეუძლიანთ წევრებად ჩაწერა თუ არაო? ან კიდე: „ქალებს მიიღებთ წევრად თუ არაო?“

პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დავაარსეთ ეს ამხანაგობა, წევრებად კი ყველანი მიიღებიან განურჩევლად სქესისა. პაი ღირს ხუთი თუმანი. მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს წლის განმავლობაში.

ამხანაგობის დეპო და გამგეობა იმყოფება ტფილისში, მუხრანიანთ ქუჩაზე, ალხაზიშვილის სახლში. განყოფილება სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა· Тифлисъ. Товарищество Фармацевтовъ. (100—57)

ადრესი ტელეგ.: Тифлисъ. „Фармацевтика“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Октября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.